საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

114-01-2-202301201800

N 01/114
20/01/2023

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარმოდგენილია თქვენი 2022 წლის 16 დეკემბრის N21/7858 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი: 6378/01; თარიღი: 16.12.2022) და 2022 წლის 22 დეკემბრის N21/8110 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი: 6525/01, თარიღი: 23.12.2022), რომლებითაც სამინისტროს გადმოეგზავნა საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტები და სკოპინგის განცხადება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისად, განახლებულ საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტებსა და სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

ა) ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტის 4.1 ქვეთავში (ძირითადი ეგზოგენური ფაქტორების სავარაუდო ევოლუცია, რომლებიც გავლენას ახდენენ ენერგეტიკულ სისტემაზე და სათბურის გაზების ემისიის განვითარებაზე) (გვ. 146), საუბარია, რომ საბაზისო სცენარის მიხედვით, მყარი ნარჩენების დასამარხი ნაგავსაყრელების რაოდენობა, 18-დან (2014 წელი), გაიზრდება 49-მდე 2030 წელს და მათი გარკვეული რაოდენობა წლების განმავლობაში დაიხურება. აღსანიშნავია, 2014 წელს უკვე ოპერირებდა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მართვაში 54 ნაგავსაყრელი. 2030 წლისათვის, კი, დაგეგმილია 6 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის აშენება და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მართვაში არსებული ყველა ნაგავსაყრელის ეტაპობრივი დახურვა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, დოკუმენტის ზემოაღნიშნული ქვეთავი დაკორექტირდეს წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად.

ბ) საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებაში (ცხრილი 2: სგშ-ს ანგარიშში განსახილველი შესაძლო ზემოქმედებები) ნარჩენების სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების შესაძლო სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებად დასახელებულია ადგილობრივი საცხოვრებელი პირობებისა და ქონების ღირებულების დაკარგვა. ამასთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ“ ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნარჩენების განთავსების ობიექტების მშენებლობა განხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს თუ რა მანძილზე უნდა აშენდეს არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი დასახლებული პუნქტიდან, რითაც კანონმდებლობა უკვე ითვალისწინებს საკითხის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტეებს. ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ეს საკითხი შესაბამისად აისახოს სკოპინგის განაცხადის დოკუმენტში.

ამასთან, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტთან დაკავშირებული კომენტარები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარუდგინა 2022 წლის 01 ნოემბრის N01/3021 წერილით. გაცნობებთ, რომ განსახილველად წარმოდგენილ, განახლებული ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტთან დაკავშირებით ძალაში რჩება გარკვეული მოსაზრებები/კომენტარები რომელიც წარმოდგენილ იქნა დასახელებული წერილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სისწორისა და სიზუსტისათვის, დანართის სახით, წარმოგიდგენთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 01 ნოემბრის N01/3021 წერილს.

დანართი: 534 (ხუთას ოცდათოთხმეტი) გვერდი.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე